ბანკის ვებგვერდზე https://www.tbcbank.ge/web/ka/web/guest/card-payments განთავსებული "ელექტრონული კომერციის მომსახურების შესახებ ხელშეკრულების ძირითადი პირობების" 1.4. პუნქტის შესაბამისად, სს "თიბისი ბანკი" გთავაზობთ "ელექტრონული კომერციის მომსახურების შესახებ ხელშეკრულების ძირითად პირობებში" (შემდგომში "ხელშეკრულების ძირითადი პირობები") და "ელექტრონული კომერციის მომსახურების შესახებ ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში" (შემდგომში "სტანდარტული პირობები") შემდეგი ცვლილებების / დამატებების შეტანას:

1. <u>შეიცვალოს ხელშეკრულების ძირითადი პირობების 1.1. პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:</u>

1.1. კომპანია (მეწარმე / გადასახადის გადამხდელი ფიზიკური პირი და/ან იურიდიული პირი / ორგანიზაციული წარმონაქმნი) უზრუნველყოფს VISA და MasterCard საერთაშორისო ბარათების და TBC Checkout და/ან TPAY QR და/ან GEOPAY არხის გამოყენებას, როგორც საგადამხდელო საშუალებას, გაწეული მომსახურების საფასურის / გაყიდული საქონლის ღირებულების მიღების მიზნით.

2. <u>შეიცვალოს სტანდარტული პირობების 2.2. პუნქტის 2.2.1. ქვეპუნქტის მე-2 ნაწილი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:</u>

2) დაბრუნების ოპერაციის თანხები.

3. <u>შეიცვალოს სტანდარტული პირობების 3.1. პუნქტის 3.1.12. ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:</u>

3.1.12. არ წარმოადგინოს ოპერაციის შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი (მატერიალური და/ან ელექტრონული ფორმით), თუ იცის (ან უნდა იცოდეს), რომ ყალბია და/ან არ არის ნებადართული ბარათის მფლობელის მიერ.

4. <u>შეიცვალოს სტანდარტული პირობების 3.1. პუნქტის 3.1.14. ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:</u>

3.1.14. TPAY QR არხით განხორციელებული ნებისმიერი ტრანზაქცია გადაამოწმოს TPAY WEB და/ან მობილური აპლიკაციის მეშვეობით.

5. <u>შეიცვალოს სტანდარტული პირობების 3.2. პუნქტის 3.2.3. ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:</u>

3.2.3. ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული საგადამხდელო საშუალება / არხ(ებ)ი გამოიყენოს მხოლოდ გაწეული მომსახურების საფასურის / გაყიდული საქონლის ღირებულების მიღების მიზნით.

6. <u>დანართს #1 დაემატოს პუნქტი შემდეგი რედაქციით:</u>

- აღნიშნული დანართით განსაზღვრული წესების/პირობების დაცვა სავალდებულოა იმ კომპანი(ებ)ისთვის, რომელიც საგადამხდელო საშუალებად იყენებს ელექტრონულ კომერციას ან TBC Checkout არხს.

7. <u>შეიცვალოს დანართი #2 და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:</u>

დანართი #2

აღნიშნული დანართი არეგულირებს TPAY QRარხით გადახდებს, რომლის შესაბამისად მომსახურების/პროდუქტის მიღება შესაძლებელია, ფიზიკურად სავაჭრო ობიექტში.

TPAY QR გადახდების სერვისის პირობები მომსახურების / პროდუქტის ფიზიკურად მიმწოდებელი პირისთვის (კომპანიისთვის):

1. TPAY პორტალზე ადმინისტრატორის უფლებები და დაშვების პარამეტრები მიენიჭება კომპანიის დირექტორს და გაუქტიურდეს წვდომა კომპანიის მიერ ბანკისთვის მიწოდებულ აპლიკაციაში მითითებულ დირექტორის ტელეფონის ნომერზე;
2. კომპანიის ადმინისტრატორი მართავს TPAY პორტალში კომპანიის მართვის პანელში დაშვების უფლებების დონეებს;
3. გადახდების მიღებას უნდა ახორციელებდეს კომპანიის ადმინისტრატორი და/ან ადმინისტრატორის მიერ მინიჭებული შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირ(ებ)ი;
4. მობილური ტერმინალით (დაბეჭდილი და/ან მობილური აპლიკაცია) კომპანიის ადმინსტრატორმა და/ან ადმინისტრატორის მიერ მინიჭებული შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირ(ებ)მა არ გადასცეს მობილური ტერმინალები და არ მისცეს მათი გამოყენების უფლება მესამე პირ(ებ)ს;
5. დაბეჭდილი მობილური ტერმინალით გადახდის მიღების შემთხვევაში, გადახდის სტატუსის მიღება/შემოწმება მოახდინოს კომპანიის ადმინისტრატორის მობილური ტელეფონის ნომერზე და/ან კომპანიის ადმინისტრატორის ავტორიზირებულ პირ(ებ)ის მობილური ტელეფონის ნომრებზე თიბისი ბანკისგან "TBCSMS" სათაურით მოსული სმს-ის საშუალებით და/ან TPAY პორტალის, TPAY აპლიკაციის მეშვეობით.

8. <u>**დაემატოს დანართი #3 შემდეგი რედაქციით**:</u>

დანართი #3

აღნიშნული დანართი არეგულირებს ელექტრონული კომერციის დისტანციური TBC Checkout არხით გადახდებს.

TBC Checkout გადახდების სერვისის პირობები დისტანციური არხით მომსახურების / პროდუქტის მიმწოდებელი პირისთვის (კომპანიისთვის):

1. TBC Checkout პორტალზე ადმინისტრატორის უფლებები და დაშვების პარამეტრები მიენიჭება კომპანიის დირექტორს და გაუაქტიურდება წვდომა ინტერნეტ-ბანკის მომხმრებელით;
2. ვებგვერდის TBC Checkout -ი სისტემასთან ინტეგრაციის პარამეტრები გამოუჩნდება კომპანიის ადმინისტრატორს;
3. კომპანიის ადმინისტრატორი მართავს TBC Checkout პორტალში კომპანიის მართვის პანელში დაშვების უფლებების დონეებს.